



გილოცავთ გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულებს, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს!!!

ქართველი ქალის ღვაწლი ყოველთვის ფასდაუდებელი იყო და ასეა დღესაც. ქალი დიდი სიმტკიცით, გმირობით და გამძლეობით გამოირჩევა. გულითადად გილოცავთ, ვისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს. ბედნიერება და სიხარული ყოფილიყოს თქვენი თანმდევი!!!

პატივისცემით, გურიის გუბერნატორი  
**მერაბ ჭანუყვაძე**



გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულებს გილოცავთ, ქალბატონებო!

საბედნიეროდ, ჩვენი ისტორია ქართველი ქალის, დედის თავდადებისა და სიძლიერის ბევრ მაგალითს ინახავს. ვისურვებთ არ მოგკლებოდეთ სილაღე და სიხალისე, გეზაროთ თქვენი შვილების წინსვლით და გეზარდოთ ქვეყნის სასიქადულო მომავალი თაობა!

სიყვარულით, **დავით დარჩია**,  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

## ღორის სპერმა – მთავარი ოკოზინიური პარტიის ახალი პოლიტიკური იარაღი

სოციალურ ქსელსა და სასურველ მედიაში გავლილი სასაინფორმაციო რეკლამები და ღორის სპერმის თემით აკორდებული საინფორმაციო ოფისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე



▶▶▶ **გვ-4**

# ა ღ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ბაზეთი ბამონის  
1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
ყოველკვირეული ბამონიდან. № 9 (10254) 5 მარტი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

## რას აპროტესტებენ სოფელ შრომის კელამობები და ურეკში ჩალის ფასად (1კვ.მ – 50 თეთრი) გაყიდული 18 350 კვ. მ მიწის ფართობი

**ალიონი.** გასულ სამშაბათს სოფელ შრომის საჯარო და ზრდილობის არასრული საშუალო სკოლების 40-მდე პედაგოგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მათ სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთების გაყიდვას აპროტესტებდნენ. ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე შარაშენიძეს შეხვდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრის წინ მათ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადეს, რომ სოფელ შრომისა და ზრდილობის სკოლები ორ ათეულ წელზე მეტია დაბა ურეკში, ე.წ. „ჩირეში“, სოფლის გარე ტერი-

ტორიაზე სარგებლობის უფლებით ფლობდა 2 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს, რომელიც ისე გაყიდა მუნიციპალიტეტმა, რომ სკოლას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონია. ისინი აუქციონის წესით 18350 კვადრატული მიწის ნაკვეთის გაყიდვის კანონიერებაში გარკვევას ითხოვდნენ.

გაზეთი „ალიონი“ რამდენიმე დღის განმავლობაში იკვლევდა „ჩირეს“ მიწების თემას, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტი დაკარგული ან განადგურებული აღმოჩნდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრის წინ მათ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადეს, რომ სოფელ შრომისა და ზრდილობის სკოლები ორ ათეულ წელზე მეტია დაბა ურეკში, ე.წ. „ჩირეში“, სოფლის გარე ტერი-

▶▶▶ **გვ-3**



## მაღაზია „ნეკტუნი“ გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს და საღვთსაწაულთ სუფთისთვის გთავაზობთ საუკეთესო ნაწარმოებს პრემიულად!



### გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი,**  
**სამი თვით - 7,20 ლარი,**  
**6 თვით -14,40 ლარი,**  
**ერთი წლით - 28,80 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარედაქციო კოლეჯია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
**nugzarasatiani@rambler.ru**  
**558 499100**  
**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
**tem52@mail.ru**  
**599 373515**  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
**gia\_77@mail.ru**  
**551 576060**  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

## ოზურგეთში საგამოცდო ცენტრი არ გაუქმდება



ტურიზმის და მათ შობლებს დამატებითი ფინანსური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური წინეხი ელოდათ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **მარი ჩხივიშვილი** შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ფრაქცია აქტიურად იყო აღნიშნულ საკითხში ჩართული და კარგია, როცა მოსახლეობაში კითხვების გასაცემად თვითონ მაია მიმინოშვილი ჩამოვიდა. ეს საკითხი დიდ ინტერესს იწვევს საზიადლეობაში და ჩვენ აქტიურად უნდა ვიყოთ ჩართული პრობლემების მოგვარებაში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში - ხულო, ფოთი, სადაც უქმდება საგამოცდო ცენტრები, რჩება რეგიონული ცენტრები - ბათუმი, ზუგდიდი, გამონაკლისია გურია, ოზურგეთში საგამოცდო ცენტრის გაუქმებით გურიის რეგიონში აღარ იქნება საგამოცდო ცენტრი და აბიტიურენტებს მოუწევთ სხვა რეგიონში წასვლა.

ჩვენი პოზიცია არის ის, რომ ოზურგეთის შეუნარჩუნდეს საგამოცდო ცენტრი აღნიშნულ შეხვედრაზე სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა ადმინისტრაციულ შენობასთან იგივე მოთხოვნით აქცია გამართეს. მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე და მერიის განათლების განყოფილება საკითხთა განყოფილების უფროსი მარინა ჯაფარიძე შეხვდნენ.

## ოზურგეთელი მშენებლები გაფიცვიით იმუქრებიან



როგორ ჩანავლება აქურობა? **მზა ტრამპი:** „წინა თვეშიც გვიწავდა ამ აქციის მოწყობა, მაგრამ იმდენი ქუსი, ვინ არ ჩერია შუგ, რავარცხა, იქნებოდა თუ არ იქნებოდა, ძალაუნებურად დაირიგეს ხელფასი. წინა თვეში ჩვენ იმდენ დღეში ჩაგყარა მტკიცე... ახლა უარეუი კოდეჯ, არ ვიცით, როდის იქნება. ორმაათის ბანკის სესხი 500 ლარი მაქვს შესატანი. არ ვიცი, საიდან ვიშოვი? დამჯავარიბუნ და კოდეჯ ჯარიმა მინდა მე?“

ჩვენი მისვლიდან ხუთიოდე წუთში ადგილზე გაჩნდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრის ხელმძღვანელები და განწყვეტულ თანამშრომლებს აუხსნეს შექმნილი ვითარება. „როგორც იცით, გაუქმდა ქალაქ ოზურგეთის მერიის სერვისცენტრი და თუმბა მუნიციპალიტეტის სერვისცენტრი, დაფუნდა ახალი, მიღის მუშა პროცესი, ველოდებით ხაზინის გახსნას, უბრალოდ, გაუქმებიდან ახალის დაფუნებამდე ხაზინას თავისი ვადები აქვს. მე ვფიქრობ, ალბათ, სამმაათისთვის მოგვარდება, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუ ვაგვეხსნა ხაზინიდან, არ არის პრობლემა. ყველა საბუთი მოგვარებულია, უბრალოდ ველოდებით ხაზინის გახსნას“,- ასეთი კომენტარი გააკეთა მდიასთან სერვისცენტრის დირექტორმა, ბატონმა **თენგიზ ქუტიბე**.

## ოზურგეთელი ლევან ქავჭავაძე კიევის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია

22-25 თებერვალს უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. გაგვახარა ქართველ ფალავანთა ეროვნული ნაკრების წევრმა **ლევან ქავჭავაძემ**, რომელმაც 67 კგ

წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო (მწვრთნელი ბექა ჩოფლიანი). აღსანიშნავია, რომ ლევან ქავჭავაძე აწ გარდაცვლილი ალექსანდრე ბოლქვაძის აღზრდილია.

## „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“

განახლებული სამთავალყოფო საბჭოს მორიგი შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრა, აზვარად, სასტუმრო „სემის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, სადაც საბჭოს წევრებმა გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია (პირველადი ვერსია) აგრეთვე მოძღვნო ეტაპზე პროექტით დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები შეათანხმეს. შეხვედრას პროექტის ხელმძღვანელი ნანა თავლეძე უძღვებოდა, რომელმაც პროექტის განხორციელების მიმდინარე ეტაპის შესახებ გაამსხვილა ყრადღება. საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს ტურიზმის ექსპერტთა ვეგუვის მიერ წარმოდგენილი რეგიონის ტურისტული პოტენციალის კვლევის შედეგების საშუსაო ვერსია. გადაწყდა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები წარმოადგენენ მოსაზრებებსა და შენიშვნებს სტრატეგიულ გეგმაში ასახვად. სამთავალყოფო საბჭოს, კონსტანტინე შარაშენიძე უხელმძღვანელებს. ეს ცვლილება ყოფილი გამგებლის მერაბ ჭანუყვადის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის

პოსტზე დანიშნითა და არჩევნების შედეგებითა გამოწვეული. როგორც მ. ჭანუყვადი აღნიშნა... რაც შეეხება შექმნილ ეტაპს, დაგეგმილია მცირე საგრანტო კონკურსის გამოცხადება, რომელშიც მონაწილეობის მიღება სვერითი დაინტერესებულ პირებს მიეცემა. „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ვეროკავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელიც გურიის ყველა მუნიციპალიტეტს აერთიანებს. პრობტი მიმართულია გურიის ტურისტული პოტენციალის კვლევისა და შეფასებაზე, მოქალაქეთა მცირემასშტაბიანი აქტივობების მხარდაჭერაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე. ალიკანტი ორგანიზაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტია, რომელიც პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან“, ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან, ასევე, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტებთან ერთად ახორციელებს.



## ქალაქ ოზურგეთის 4 საბავშვო ბაღი ოფიციალურად გაიხსნა

27 მარტს ოფიციალურად გაიხსნა ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღი, რომლის 520 462 ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები სამშენებლო კომპანია შპს „მსნი 2010- მ“ განხორციელა.



საბავშვო ბაღის გახსნას დაესწრნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, ადრეული და სკოლაძეული აღზრდის განყოფილების უფროსი **თემურ მოქია**, განათლებისა და გენდერული განყოფილების უფროსი **მარინა ჯაფარიძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, ა)იპ სკოლაძეული სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი **მაკა ჭყონია**. ბაღის აღსაზრდელებმა სტუმრებს სახეში ღონისძიება მოუწყვეს.

100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 2017 წლის 14 ივნისს დაიწყო. თანამედროვე შენობა ადრეულია შესაბამისი ავეჯით, საეციალურად ბავშვებზე მორგებული სველი წერტილებით, სამზარეულოთი, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალგამწმენდი და გათბობის სისტემებით.

## „მამის იაჰნანა“ ლიხაურის საბავშვო ბაღში

პროექტს „მამები და შვილები“, თხინვალის საბავშვო ბაღის შემდეგ, სოფელ ლიხაურის სახელმწიფო საბავშვო ბაღი გამოეხმურა ღონისძიებით „მამის იაჰნანა“. ზოგად, ლიხაურის საბავშვო ბაღიდან, აღარაფერი მიკვირს, არ არსებობს იდეა, რომელსაც ის თავისი პროფესიონალი აღმზრდელ-მასწავლებლებით, უნივერსიტეტი და უმშენებრივი აღსაზრდელებით, ვერ შეეჭვივება და უმადლეს ღონეზე ვერ განახორციელებს. ამ ბაღის დიდი თუ პატარა შესრულებითა და მხერით ხომ ყოველთვის ნებისმიერ ამპლუაში განსხვავებული და ორიგინალურია.



27 თებერვალს ნათია გობრონიძის ბაღმა (ასეც ეძახიან), ჩვეული ხელწერით, ერთი უდავოდ ლამაზი ღონისძიებით გაამდიდრა თავისი მშენებრივი ისტორია. ქებათა ქება მამებს, რომელთა მამობრივმა მზრუნველობამ ეს ღონისძიება ნამდვილ ზემად აქცია, ზემად რომელშიც ბედნიერები იყვნენ, როგორც სასკოლო

მშაობის ვეგუვ „მერცხლის“ ბავშვები და მათი მამები, ისე დასწრე საზოგადოება. ყველა ნომერი უნაკლო გახლდათ, მაგრამ პირადად ჩემზე ყველაზე დიდი მთავრდებოდა მოახლდა მამებისა და შვილების მართლაც პეროვანმა ცეკვამ და რეფერენმა „ჩემი მამიკო მაგარია“, რომლის პარმონიული ექო, ალბათ, ლიხაურის სამანებს გასცდა. ღონისძიების დასასრულს მამებმა და შვილებმა ბაღის ეზოს დეკორატიული ნარგავები შემატეს.

**დაიწყეთ ყოველი მიშაბათი აღიონზე**  
**«აღიონით»**

# რას აპროტესტებენ სოფელ შრომის კვლავი და ურეკო ჩაღვრის ფასად (1კვ.ა - 50 თეთრი) გაყიდული 18 350 კვ. მ მიწის ფართობი

ურეკოს სახელმწიფო არქივში არ აღმოჩნდა არც სოფლის ფილიოს ოქმი, რომელშიც სოფელ შრომისა და ხრიალეთის სკოლებისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა უნდა იყოს რეგისტრირებული და არც 2004 წლის სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილებები, სადაც სკოლის მიწის ფართობზე იმსჯელებს.

**2004 წლის 4 იანვარს ოზურგეთის რაიონის, შრომის თემის გამგეობის სხდომა გამართა (ოქმი №1, 4 იანვარი, 2004 წ.) სხდომის ესწრებოდნენ გამგეობის წევრები: ზურაბ მგავანაძე, ზურაბ ხომერიკი, ბადრი ხომერიკი, რაინდი ხომერიკი, კახა ქაღვიშვილი, ირაკლი ხომერიკი, გივი მამფორაძე, საკრებულოს წევრები: ოტია ხომერიკი, სლავა ჩხაიძე, ჯუმბერ ქურციკა, სერგო ვამყამაძე.**

სხდომაზე მისამართის შრომის საშუალო სკოლის დირექტორის და ხრიალეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორების ზ. ხომერიკისა და რ. ჩხაიძის ინფორმაცია სკოლების ზღვისპირა ნაკვეთების გაფორმებასთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვა: ზ. მგავანაძემ, რ. ხომერიკმა, გ. მამფორამ.**

**დადგინეს: გაუფორმდეს შრომის საშუალო სკოლას 2 ჰექტარი და ხრიალეთის არასრულ საშუალო სკოლას 0,5 ჰექტარი მიწის ფართობი ზღვისპირა ტერიტორიაზე აღნიშნული საკითხის მოსაგარებლად მიემართოს შესაბამის სამსახურებს...**

2016 წელს დასახლებული მიწის ნაკვეთი „ჩირეში“, ეკონომიკის სამინისტრომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადასცა.

2017 წლის 28 ივლისს ჩატარდა ოზურგეთის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომა, რომელსაც აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, სოფელ შრომის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭანჭელიძე უძღვებოდა.

კომისიის გადაწყვეტილებით „ჩირეს“ ტერიტორიაზე მდებარე 18350 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი შეიტანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების, საპრივატიზაციო ობიექტების და გამოუსადეგარი უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2017 წლის 1 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გამართა, სადაც განიხილეს საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.“

მიმდევრო დღეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გამართა, სადაც კვლევა განიხილეს აღნიშნული საკითხი და 28 დეპუტატის ხმით დამტკიცეს და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

ამის შემდეგ გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნდა განცხადება აუქციონის შესახებ, სადაც სხვა მიწის ფართობთან ერთად შეტანილი იყო ე.წ. „ჩირეს“ 18 360 კვ. მეტრი მიწის ფართობი. (საკადასტრო კოდი 26.34.01.244).

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და პრივატიზაციის განყოფილების უფროსის **მალაზ გორგოშიძის** ინფორმაციით, ეკონომიკის სამინისტრომ 2016 წელს გადასცა მუნიციპალიტეტის აღნიშნული ფართობი.

ეს იყო **დაურეგისტრირებული მიწის ფართობი, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაარეგისტრირა თავისუფალ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად და გასაყიდად გატანა იქნა აუქციონზე. გასაყიდი ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე შეუყვარდა 0,50 ლარი.** აღნიშნული ფართობის ყიდვის სურვილი გამოთქვა ორმა პიროვნებამ.

აუქციონი 10 ნოემბერს გაიმართა. მიწის

მესაკუთრე სოფელ შემოქმედში მცხოვრები ლამა მგელაძე გახდა, რომელმაც დაახლოებით 9 ათასზე მეტი შეიტანა ბიუჯეტში. – გვეთხრა გორგოშიძემ.

**რუსულან ცეცხლაძე**, სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორი: – „ჩირეში“ 2 ჰექტარი მიწის ფართობი სკოლას 1994 წელს გადაეცა. მაშინ სამინისტრო რეკომენდაციას აძლევდა ადგილობრივ მმართველობას დახმარებოდა სკოლებს და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად გადაეცათ მიწის ფართობები. ჯუმბერ ქურციკა ნამდვილად გულისხმობდა პიროვნებაა. მისი ინიციატივით გადაეცა ჩვენს და ხრიალეთის არასრულ საშუალო სკოლას „ჩირეში“ მიწის ნაკვეთი, სადაც პედაგოგები თესვდნენ სიმინდს, მოჰყავდათ ბოსტნეული (მეც მათ გვერდით ვიყავი).

დღეიდან პედაგოგები ვიწყებთ ბრძოლას ნაკვეთის დასაბრუნებლად. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს კონსტანტინე შარაშენიძეს შევხდით და ვთხოვეთ დახმარება. იმდღეა მხარს დაგვიჭერს.

**დავით ბოლქვაძე**, პედაგოგი: – წლების მანძილზე, ზაფხულობით მაგენტებში მოსწავლეთა ბანაკს ვხელმძღვანელობდი. ბანაკში გვყავდა, როგორც სოფლის სკოლების მოსწავლეები, ისე მათი თანატოლები გენჩესკიდან. „ჩირეში“, გარდა სანერგესა, იყო შრომის კომპლექსების ბოსტანი, სადაც ბანაკში მყოფი უფროსკლასელები თანასოფლელებს ეხმარებოდნენ ბოსტნის მოვლაში. დრო რომ აირია და სოფლის ფილიომამ სარგებლობის უფლებით ყოფილი საბოსტნე ნაკვეთი გადმოგვცა, შემოღობვა გვიწოდა, მაგრამ ვერ შევძელით. მორიგეობით ვდარაჯობდით ნათესებს. ერთ წელს ღომიც კი მოვიყვანეთ იქ.–

**ლია ჯაბუტაშვილი**, პედაგოგი: – მე ვესწრებოდი 1994 წელს სოფლის ფილიოს, როცა „ჩირეში“ მიწის ნაკვეთი გადამოგვცეს. ძალიან ცუდი პერიოდი იყო. პედაგოგებს რაღაც კუბანები გვქონდა და თვეობით ვერ ვღებულობდით ხელფასს. ზამთარში გათბობა არ გვქონდა, მაინც ღირსეულად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. გაზაფხულიდან მოყოლებული დაედოდი „ჩირეში“, ვხვდით, ვთესავდით, ვმარგვლიდით, ვიხიხივდით... მოგვყავდა სიმინდი, კარტოფილი, ბადრიჯანი, წიწილი, სხვა ბოსტნეული... გაზეთსაც კი ვუშვებდით „მეკარტოფილის ხმა“... სულ გვეუბნებოდნენ, რომ ამ ეტაპზე ვერ გავიფორმებთ, შემდეგ ეკონომიკის სამინისტროს გადაეცაო...ძალიან ცუდად მოგვექცინა... ბოლომდე ვიბრძობდით ჩვენი სიმართლისათვის...

**რუსულან კვაჭანტარაძე**, პედაგოგი: – 2006 წლის ნოემბერში, ოზურგეთის გამგეობამ მოითხოვა საარქივო მასალების ჩაბარება. მე ვიყავი საარქივო მასალების შერჩევის კომისიაში. შრომის თემის საკრებულოს და გამგეობის ყველა ოქმი წარვაფრინეთ გამგეობაში, საიდანაც შემდეგ სახელმწიფო არქივს გადასცეს. მაინტერესებს, სად უნდა გამჭრალიყო ის ოქმები, სადაც სკოლაზე გადმოცემულ მიწებზე იყო მსჯელობა...–

**ჯუმბერ ქურციკა**, სოფელ შრომის თემის ყოფილი გამგებელი: – მიწების პრივატიზების პროცესის მიმდინარეობისას, სოფელ შრომის გამგებელი ვიყავი. 1994 წელს მივინახე მთავრობის რეკომენდაცია, რომ სოფლების გამგებები დახმარებოდა სკოლებს, სამედიცინო დაწესებულებებს და გადაეცათ მათთვის მიწის ფართობები. სოფლის ფილიომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სოფელ შრომის საშუალო და ხრიალეთის არასრული საშუალო სკოლებისთვის გადაგვეცა მიწის ფართობები. ფილიოს ოქმი რეგისტრირებულია სოფლის ზონარეგულირების წინადადებას (თუკი დღეს არსებობს). ამ ფართობთან ახლოს ბადრი პატარაკაციშვილის რეზიდენცია აშენდა. წლების მანძილზე მიდიოდნენ „ჩირეში“ პედაგოგები, მათი ოჯახის წევრები და მოსავალი მოჰყავდათ. შემდეგ

უნდოდათ პედაგოგებისთვის დაერიგებიათ 300-300 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი. ვერ მივაღწიეთ, ხელისუფლებამ არ დაეხმარა სოფელს ამ პრობლემის მოგვარებაში. ხან რას გვეუბნებოდნენ მიზეზად და ხან რას.

ძალიან არასწორია, რომ ასე ჩემად, შერჩეულ დროს წაართვეს შრომის სკოლას მიწის ფართობი. ვიცო, ვერ-ვერბოდი არ გაყიდილია ხრიალეთის სკოლის მიწის ფართობი, თუმცა როგორც პედაგოგები ამბობენ, გამზადებულია გასაყიდად.

**ზურაბ მგავანაძე**, სოფელ შრომის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი გამგებელი:



– სოფელს ურეკას და ცვაილნარს შორის, ე.წ. „ჩირეში“ ჰქონდა 70 ჰექტარი მიწის ფართობი, საიდანაც 33 ჰექტარი, უშუალოდ ზღვისპირა ზოლი, ფიჭვნარი შემდეგ ბადრი პატარაკაციშვილმა იყიდა, სადაც მან სახლი ააშენა (ახლა ითარღობდა მშენებლის სახელზე), ხოლო დანარჩენ ფართობზე მოწყობილი იყო სოფლის სანერგე მუერნეობა (გამოჰყავდათ ციტრუსის ნერგები), იყენებდნენ საყანედ, ხოლო ის ფართობებზე, რომლებიც არ გამოდგებოდა სავარგულად, სატბორე მუერნეობა იყო მოწყობილი „ჩირეს“ ფართობები სუფსის ტერიტორიის მისაღვამე ბაძე გრძელდებოდა.

1994 წელს გამართა სოფელ შრომის მოსახლეობის ყრილობა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. სოფლის გამგებელი იყო ჯუმბერ ქურციკა, ხოლო სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარე გივი ხომერიკი. ყრილობაზე, სხვა საკითხებთან ერთად, სკოლისათვის „ჩირეში“ მიწის ფართობების გადაცემის აკეთებენ განიხილეს. სოფელ შრომის საშუალო და ხრიალეთის არასრულ საშუალო სკოლას გადასცეს მიწის ნაკვეთი.

1998 წლის 15 დეკემბერს სოფლის გამგებლად აირჩიეს, ხოლო იმავე წლის 31 დეკემბერს მიწის რეფორმა დაიწყო. ჩემი, სოფლის ხელმძღვანელად 1998-2011წწ. მუშაობის პერიოდში სკოლის პედაგოგები ამუშავებდნენ აღნიშნულ მიწებს, მოჰყავდათ სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული. შეუძლებელი იყო ნაკვეთის უსასყიდლოდ გადაცემა (პრივატიზაცია) მოსწავლეობაზე, როგორც აღნიშნე, პრივატიზაცია 1998 წლის 31 დეკემბერს დასრულდა.

ჩემი დასახლებულ თანამდებობებზე მუშაობისას რეგიონში 7 გუბერნატორი და ოზურგეთში 6 გამგებელი შეიცვალა. ყველამ იცოდა, რომ „ჩირეში“ სოფლის 2 სკოლას ჰქონდა მიწის ნაკვეთი და არასდროს არ დასმულა მათი გასხვისების საკითხი.

2002 წელს დადგა სკოლის მიწების გაფორმების საკითხი. საშუალო სკოლის დირექტორ ზურაბ ხომერიკთან მქონდა საუბარი, რომ მიწის ნაკვეთი გაფორმებისათვის უზურფრუქტით. თუ რატომ არ მოხერხდა დასახლებული დოკუმენტის გაფორმება, არ ვიცი. სამწუხაროდ ზურაბ ხომერიკი გარდაიცვალა. დღეს ვხედავ, რომ გაუყვადით მიწის ნაკვეთი. შემოქმედელ კაცს უყვიადა 9 ათას ლარად.

ჩემთვის ეს ძალიან სასაცილო ფაქტია, სატერაფი, რომ არ იყოს...–

**–რატომ ბატონო ზურაბ... –აღნიშნულ ტერიტორიის მიღამოვში კმრამ მისაკუთრებ...**

**მა მიწის ფართობები კვადარატული მეტრი ზომისა 30 ლარად, ზომისა 40, ზომისა 30 –45 ლარად გადაეცა.**

**ზურაბ მგავანაძე, ი.გ.ი.ი, რომ უნდა გადაეცა საბრძოლველ ბრძოლაში - ურეკო-ქობულეთის ახალი ავტომობილისტრალი. გამოსტრალი „ჩირეს“ ტერიტორიაზე 500 მეტრით სიღრმეში გაიშლის დასახლებული ფართობიდან. სახელმწიფო პრეკვადარატული მეტრი მიწის ფართობი 22 ლარად შეიძინა.**

რკინიგზის გადამა, „შუატყეს“ ეხსიან, სახელმწიფომ ოპტიკურ-ბოკოვანი კაბელის გაყვანისას მოსახლეობიდან 30 ლარად შეიძინა კვადრატული მეტრი მიწის ფართობი, ხოლო კარუანში 40 ლარი გადაიხადეს. ამას გარდა ცალკე კომპენსაციას იხდიან ნარგავებზეც. ზრდასრული ნარგავი 100 ლარადაა შეფასებული. სკოლის აღნიშნული ნაკვეთი კი ზღვიდან 170-180 მეტრში მდებარეობს, თან საკურორტო ზონაა, თუ რატომ გაიყიდა აღნიშნული ნაკვეთი კვ.მ. 0,5 ლარად, დასკვნები მკითხველმა გააკეთოს. გაეგებინებნათ მასწავლებლებისათვის, ამ ფასად ისინიც იყიდებენ.

**–ბატონო ზურაბ, რამ განაპირობა სკოლის ნაკვეთის თემ სოფლის გამგეობის სხდომაზე გაგებია...**

–არა მარტო გამგეობაზე, საკრებულოს სხდომაზეცაა განხილული საკითხი და შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ საკრებულოს ოქმი არქივში არ აღმოჩნდა. ვერც ყრილობის ოქმი ინახა.

**მაგალია დარჩია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი წარმომადგენელი სოფელ შრომაში: – იმ დროს, როცა სოფლის სკოლებს მიწის ნაკვეთები გადაეცა „ჩირეში“, ხრიალეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ვიყავი. სამინისტროს დირექტორი იყო, ვიკლებსათვის გადაეცათ მიწის ფართობები, სადაც პედაგოგები დათესავდნენ სიმინდს, ბოსტნეულს მოიყვანდნენ. ურეკში, გრივლეთის მიმართულებით, ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს, „ჩირეში“ გადმოცეს ჩვენს სკოლას 0,5 ჰექტარი მიწის ფართობი, ზღვიდან 500-600 მეტრში. ფართობი სარგებლობის უფლებით იყო გადმოცემული, არ დაუკანონებიათ. არანაირი საბუთი ვერ იპოვეს, ვერც ყრილობის ოქმი. 0,5 ჰექტარი მიწის ფართობს 12 პედაგოგი ამუშავებდა. ერთ წელს ისარგებლეს, შემდეგ არ უსარგებლობიათ. სოფლის ხელმძღვანელები იყენებენ ჯუმბერ ქურციკა, თიბურაზ ჭკუასელი, ზურაბ მგავანაძე. მათ აღნიშნული მიწების პრივატიზება ვერ გააკეთეს. ამას ემატება უთანხმოება პედაგოგებს შორის. ამიტომ სკოლის დირექტორმა ზურაბ ხომერიკმა შეწყვიტა ამ მიწების გაფორმებაზე ზრუნვა. 2006 წელს, ის მიწები, რომლებიც არ იყო პრივატიზებული, ან უზურფრუქტის ფორმით გადაცემული, გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს.

2013 წელს მიხვდა ხრიალეთის სკოლამ დახმარება, მითხრეს ჰქონდათ პედსაბჭოს ოქმი. ხრიალეთის სკოლის მიწა არ გასულა აუქციონზე. ხოლო შრომის საჯარო სკოლის 1,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტრომ მუნიციპალიტეტს გადასცა, ხოლო მუნიციპალიტეტმა მიწა, რომელიც არასდროს არ ყოფილა სკოლის საკუთრება, აუქციონზე გაყიდა ყველა წესის დაცვით.

აუქციონი შარშან, ნოემბერში ჩატარდა. მე ამ დროს შეგებულაში ვიყავი. სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, წინა მოწვევის საკრებულოს საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ჭანჭელიძე ქალბატონ მაგალია დარჩიასთან საუბარს ესწრებოდა. მან „ალიონთან“ განაცხადა, რომ პრივატიზაცი-

ის პროცესი 2006 წელს საბოლოოდ დასრულდა. პრივატიზაციის გარეშე დარჩენილი მიწის ფართობები ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. მხოლოდ გადმოცემით ვიცი (საბუთი ვერ მოვიპოვე) რომ სკოლას ეს მიწები გადასცეს სარგებლობის უფლებით. ლეგალიზაციის პროცესში იყო შეუთანხმებლობა პედაგოგებს შორის, თუ ვისზე როგორ უნდა განაწილებულიყო მიწის ფართობი. ამიტომ ვერ მოხდა ამ მიწების მათთვის დაკანონება. ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენ გადმოგვცა ეს ფართობი, როგორც არასასოფლო-სამეურნეო და აღნიშნულებს მიწა. გამოცხადდა აუქციონი და კანონის სრული დაცვით გაიყიდა ეს მიწა. ვწუხვარ, მაგრამ ასე მოხდა.

გაზეთი „ალიონი“, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის მოადგილეს **არჩილ ყაზაშვილს** ესაუბრა. იგი აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების დროს ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას ასრულებდა.

– მე ვიყავი მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ურეკო-ქობულეთის საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გამოცემის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე და სოფელ შრომის სკოლის საკითხი პირველად მესმის. ჩვენ ნებისმიერი აუქციონის კანონის სრული დაცვით ვატარებდით და არასდროს გავიჭრნა აუქციონზე საჯარო მიწა, მათ უმეტეს, „ჩირეს“ შემთხვევაში, არანაირი მოსარგებლე არ დაფიქსირებულა.

თეთიმართველობის ახალი კანონის მიხედვით თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე მუნიციპალიტეტი აკეთებს განაცხადს და შეაქვს საჯარო რეესტრში. იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო ერთდროულად შეიტანს განაცხადს, უპირატესობა მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი მაგ ზონაში 30 თეთრად 60 თეთრამდე მერყობს. ფასს არა მუნიციპალიტეტი, არამედ ტენდერში გამარჯვებული აუდიტი ადგენს. შემდეგ აუქციონის შესახებ განაცხადი ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში და ვებ-გვერდზე: **auqcion.ge**.

ჩვენ აუქციონში გამარჯვებულ შემოქმედელ ლამა მგელაძეს დაუეკავებოდა. იგი შემოქმედში ფლობს 6100 და 5500 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობს. გარდა ამისა, ოჯახის წევრებთან ერთად თანამდებობადაა კიდევ 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობისა.

–მე მიწა აუქციონზე შევიძინე. არანაირი კითხვა არ მაინტერესებს. ვიღაცები მირეკავენ და იგინს გავცვი პასუხი. მე რომ ფართობი შევიძინე, არ იყო სადავო. არ მაინტერესებს – ასეთი „კომენტარი“ გააკეთა ჩვენთან ლამა მგელაძემ.

გასულ პარასკევს, სოფელ შრომის საჯარო სკოლის პედაგოგები ადგილს კახა ჩაღვიშვილთან იმყოფებოდნენ. ისინი სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებდნენ.

\* \* \*

წერილზე მუშაობის პროცესში სოფელ შრომადან გვაცნობეს, რომ სოფელს ასევე კურორტ ბაზმაროზე ჰქონდა დასახლებული სახლი, სადაც სოფელ შრომის საჯარო სკოლა „ფალავანის“ მოჭვადეები საწურთნელ შეკრებებს გადიოდნენ. „ფალავანის“ აღზრდილები წარმატებით გამოდიან როგორც ადგილობრივ ისე რესპუბლიკურ ტურნირებზე. ეს სახლი კურორტის ცენტრში, დაედიანის მოედანზე მდებარეობს და ამბობენ, რომ გაყიდულია.

„ფალავანის“ მთავარმა მწვინელმა გურამ აბაშიძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ ბაზმაროში შეკრებები ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენებისათვის. იმდღეა, ეს შენობა არ აღმოჩნდა გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში.

# ღორის სპერმა – მთავარი მომზადებული პარტიის ახალი პოლიტიკური იარაღი

## სოციალურ ქსელსა და სასურველ მედიასი გავლილი სასპანდლო რეპეტიციები და ღორის სპერმის თემით აპორებული სპანდლო ოჯახობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

### თამარ მარგანიშვილი



ერთი შეხვედრით, თითქოს არანაირი წინაპრობა არ ჩანდა იმისა, რომ 28 თებერვლის საკრებულოს სხდომა, რომელიც ოპოზიციის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ რეგისტრირებულ ამომრჩევლებს 1%-ის მიერ პეტეციის სახით ინიცირებული „მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ შესამუშავებლად და შესასწავლად საკრებულოს დროებითი ვაკუუმის შექმნით დაიწყო, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გამოდგებოდა. ეს ერთი შეხვედრით, თორემ საკრებულოს სხდომის დამთავრებისა და ქართული ტელეარხების საინფორმაციო პროგრამების ნახვის შემდეგ, გაჩნდა გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ რაც ოპოზიციის საკრებულოს სხდომაზე მოხდა, ეს იყო ერთ-ერთი რგოლი იმ საბოტაჟური ქმედებისა, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩვეული ხელსწრებით, განაგრძობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ხმაური კი დღის წესრიგით გათვალისწინებული მთავარი საკითხის „ოპოზიციის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის № 1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე საკრებულოს დადგენილების მიღების შემდეგ დაიწყო, როცა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელმა ვა მამაკაიშვილმა დებუტატ დავით მუხანაძის მიერ ვერ შედგენილი საკრებულოს და სოციალურ ქსელში, შემდეგ კი ბიუროს სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს, საკითხისადმი არასერიოზული მიდგომა უწოდა:

„ძალიან სასამართლო ეჭვებადა, რომ ბატონი დავით ამ პროექტში სხვა თემებთან დაინტერესებულიყო, დანახავს რომ ჭანიეთის გზის რეაბილიტაციის მუშაობაზე ლაიონ გამოყოფილი, 738 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდიდან, დანარჩენი – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ეს ერთი; მინდობდა, შეეხებინა მისთვის მისი წინა დებუტატების პერიოდში რა მდგომარეობაში იყო ჭანიეთის საავტომობილო და ახლა როგორი სკალამდელი აღზრდის დაწესებულება გაჩნდა სოფელში. ამაზე შეიძლება საუბარი.“

გარდა ამისა, ბატონი დავით, მიმდინარე წლის პროექტებზე შეგუძლია ერთხელ მინც შეზღუდულიყოფილი ინფრასტრუქტურის სამსახურში და გენახათ რა პროექტები არის დაგეგმილი თქვენს სოფელში, თქვენ სოფლის დებუტატ ბრძანდებით. ეს იქნებოდა სერიოზული მიდგომა და არა ის, რომ ბიუროზე თუ საკრებულოს სხდომაზე – ვინაიდან კამერები იწერენ, იმის თქმა, რაც თქვენ, რა სამარცხვინო საქმე კეთდება თურმე, რომ ჩვენ დავალოვებთ ვინდით. ძალიან ვედილობ სიტყვები მოვლობ, მერამ არ მიმჩნია მე ეს ლამაზ საქციელად. პირადად თქვენ გეუბნებით ამას, თორემ თქვენი ფრაქციის წარმომადგენლებთან არანაირი პრეტენზია არ

გამჩნია. თქვენ პირადად ჩემთან მიმართებაში იცით, რომ არასოდეს ყოფილხართ არანაირ მოთხოვნა ინფორმაციაზე შეზღუდული. იმ ფაქტის შემდეგაც, თქვენ ინფორმაცია მოითხოვეთ და მე გამოვიგზავნე. ამიტომ, არ ვიცი, როგორც ვინდათ, ჩამთავლეთ, მერამ არ მიმჩნია სწორად ის, რაც თქვენ ვაკეთებთ. შეიძლება მე თქვენში ვარაუდობა და არ შეიძლება იმ ფორმით ვარაუდობა. ჩვენ, მუნიციპალიტეტი ყველა ვალს ერთად ვისტუმრებთ. რატომ სხვა ა(ა)იპების გასასტუმრებელ ვალებზე არ გამაზრდეთ ყურადღება? ისინიც ხომ გადმოტანილი ვალდებულებები და წერია ამ პროექტში.

მე უბრალოდ, დებუტატებო, თქვენ მოგიხდით ბოდიშს, მერამ ჩემი გამოხვლის დამთავრებამდე მინდობდა ეს მეთქვა, როგორც ადამანი, როგორც საჯარო მოხელე, როგორც თქვენი მუდმივი, ცოტა გულნატკენი ვარ იმის გამო, რაც მოხდა.“

ამჟამად არადადავრებული ვახლდით სოფელ ჭანიეთის მაკრიტარის დავით მუხანაძის მხრიდან იმის თქმა, რომ ამ თემაზე არ აპირებდა საუბარს, მით უფრო, მას შემდეგ, რაც თავის გამოხვლაში „ნაციონალი“ დებუტატმა, ცინიზმის ფონზე, დღევანდელ ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებას“ ბუღალტერივით გადაუარა:

„არ გაბრუნდით ამ თემაზე საუბარს, მერამ ვეფიქრობ, რომ აუცილებელიც არის ყველა კითხვას გავცეს პასუხი. პირველ რიგში, ბატონო ვა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გამოიწვია თქვენთვის წყნა ჩემს განცხადებებზე? არ შეიძლება, რომ ეს რაღაცა შესყდვა თქვენი პირადი ინტერესის სფერო ყოფილიყო, და მეორე, სანამ გადავალ კონკრეტულ საკითხზე, აქ იყო საუბარი ფერმერულ მუშაობაზე და იმ პროექტებზე, რაც ხორციელდება მუნიციპალიტეტში და რაზეც არ გამაზრდეთ ყურადღებას.“

ძალიან მჭიდრო კონტაქტი მაქვს შესაძამის სამსახურებთან, ძალიან კარგად ვიცი, რა კეთდება არა მარტო ჩემს სოფელში, არამედ მიუღის რაიონში, მერამ ვეფიქრობ, რომ იქ სადაც არსებობს კითხვები, კითხვებს უნდა გავცეს პასუხი.

რაც შეეხება ფერმერულ მუშაობას, წარმტებული რომ ყოფილიყო, არ მოხდებოდა მისი გაუჭიება და დღესაც შეინარჩუნებდა თავის პროფილს და სხვის თემსაც, ადომინდა, რომ ეს იყო წარუმატებელი. თავის დროზე ჩვენ გამოხდით, რომ ის იქნებოდა წარუმატებელი, ამაში დარწმუნდა დღევანდელი ხელისუფლება და სწორედ ამან გამოიწვია მისი გაუჭიება. რაც შეეხება სიტუაციებს, შეიძლება იქ ბევრი რამ ვაკეთება, თუმცა ყველაფერი შედარებითია. თუ ჩვენ შევადარებთ, ასე ვთქვათ, ფინანსურ ხარჯებს, რაც დახარჯვა, ძალიან ხშირ შემთხვევაში,

ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ აქ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებთან ხარვეზით ნაწილში. მტკიცებით-რწმუნებით ფორმად, რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი არ შეიძლება.

ახლა იმ კონკრეტულ საკითხზე, რამაც თქვენი განწყობა გამოიწვია? მე მესმის, რომ უნდა გავისტუმროთ ვალები, მესმის, რომ არსებობს ვალებიც, მერამ ჩემთვის გაუგებარი ადომინდა, თურმე ოპოზიციის მუნიციპალიტეტს ჰქონია, ბოდიში კოლეგებთან და დამსწრე საზოგადოებასთან, ღორის თესლის ვალი. გუშინ ვაირკვა, დამაკავშირდნენ ა(ა)იპ-ის ყოფილი თანამშრომლები, ეს ვალი დარჩა იმტომ, რომ თავის დროზე ის ადომინდა უნაყოფო, არ განაყოფიერებულა და არ გადაუხდათ ვალი (ვიდეონაწერში ჩანს, თვითკმაყოფილი სახით რომ იცინის), ანუ ერთი უბედურებაა, რომ ვინდით ღორის სპერმის ვალს და მეორე უბედურებაა, რომ თურმე უნაყოფო ღორის სპერმის ვალს.

ეს არის პრობლემა მე ვეფიქრობ, რომ საზოგადოებამ, ნებისმიერი პრობლემა უნდა იცოდეს, ნებისმიერ პრობლემას უნდა გავცეს პასუხი. თუ მე ვცდები და ეს ასე არ არის, მაშინ მოთხარით, რომ მსგავსი ვალი არ არსებობს, მერამ მსგავსი ვალი არსებობს და ეს მე დამდასტურა რამდენიმე ყოფილმა თანამშრომელმა, რამაც, რა თქმა უნდა, გამოიწვია ჩემი გაკვირვება და ჩემი პროტესტი.

მესმის, რომ ხელისუფლება გადასულია პრემიებზე, დანამტებზე და ამას ხალხი, ასე ვთქვათ, შეეჩვია ახლა კოლეგა პრემიებს დაემატა ღორის სპერმის ვალი და ისიც უფარების ღორის სპერმის ვალი. რა თქმა უნდა, მე მიმჩნია, რომ ამის შესახებ (ისევე დიდი) უნდა ცოდნობა საზოგადოებას.

ეს არის სიმართლე. თქვით, რომ ტყელები, თქვით, რომ ვეფიქრობ, რასაც მე ვსაუბრობ, თქვით, რომ მოგონილია ვერ იტყვით იმტომ, რომ სიმართლეს ვსაუბრობ.“

საუბარში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ლურჯუმიძე ჩაერთო, რომელმაც ოპონენტს უთხრა, რომ ამ საკითხში არ არის კომპეტენტური და კარგი იქნება თუ ხანდახან კანონმდებლობასთან ახლოს მივა:

„უნდა ვითხარო, რომ თქვენ არ ხართ ამ საკითხში კომპეტენტური და კარგი იქნება თუ ხანდახან კანონმდებლობასთან ახლოს მიხვალთ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოლეგიაში განხორციელებული ცვლილებების შესაძამისად, თვითმმართველობას უფლება აქვს შექმნას ა(ა)იპ მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, შესაძამისად ამან გამოიწვია გაუჭიება და სხვათა შორის, მხოლოდ ეს ა(ა)იპ არ გაუჭიებულა.“

დავით მუხანაძემ, თვალის რომ არ დაუხამსამებია, ისე დაუბრუნა სურდა:

„თქვენ, რომ ხართ კომპეტენტური გამაგებნეთ ფერმერული მუშაობის ღორის უფარების სპერმის ვალს რატომ იხდით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან? ეს ხალხს მისი ვინდით თქვენი პრემიადანამტების გადახდა შეეშოთ ახლა.“

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელის ტარიელ არომიძის თქმით, ყველაფერს სახეგარი აქვს და მართლა თუ შეიძლება ყველაფრით სპეკულირება:

– ბატონო დავით, ერთი წამით მომიხსენეთ თუ შეიძლება, თქვენ რომ ლაპარაკობდით, მე ვისმინდით. და ყველაფერს სახეგარი აქვს, გამაგებ? მართლა ყველაფრით სპეკულირება თუ შეიძლება? თუ შეიძლება ახლანა საკრებულოში თქვენი ერთი საქმიანი გამ-

ოსვლა ყოფილიყო. იცო, რა მინდა შეგახსენოთ? მე და თქვენ, როცა ადამსრულბელ ხელისუფლებამ ვიყავით...“

– ვინ თქვენ, ვერ ვიცი? – რეპლიკით ჩაერთო ბესი ქიაიამაძე.

– დამცადე, დათოს ველაპარაკები, შენ რა ვინდა კაცი?! – გაცხარდა არომიძე.

– თქვენი, გვეუბნები და თქვენბითი ფორმა სხვა არის.

– არ მაქვს უფლება, როგორც შემიძლია, ისე მიგმართო? ველაპარაკები დათოს და დამლაპარაკე თუ შეიძლება: დათო, ადამსრულბელ ხელისუფლებამ რომ ვიყავით, ნორმალურ ადამანად იქცავდით.

– რა, ახლა არანორმალურ ადამანად ვითვლები?

– რას ნიშნავს აი, ეს თქვენი განცხადებები? არანორმალური რა არის, მე გეტყვით. ერთი წამით, არანორმალურს რას ვხედავ შენში, დამამაყრებინე რაც „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებამ, მას შემდეგ რამდენი რამ ვაკეთა შენს სოფელში და ერთი მადლობაც არ დავცდინა.

– მადლობა, ბატონო...“

– დამცადე სათქმელი და მერე მელაპარაკე, აშენდა საბავშვო ბაღი, შენდებ უმადლესი ღორის სკოლა, წელს კეთდება ასფალტირებული გზა. ამაზე ერთი სიტყვა არ ვთქვამს, შე კაი დემამიშვილო და რაღაცა ღორის განაყოფიერებაზე შეაწრიადე მიუღი საკრებულო. რა ხდება, გამაგებინე?!“

– ხალხმა იმტომ ავირჩიათ, რომ ვაკეთებთ.

– ვინ არ აკეთებს მერე? ერთხელ თუ ვითქვამს მადლობა, რომ კეთდება გზა...“

– მადლობა... ეს თქვენი ვალდებულებაა.

– მერე თქვენი ვალდებულება დანახვა თუ არის?

